

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწიფო უნივერსიტეტის



განხილულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N..... 202_წ.

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე:

ოქმი N 202_წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე :

თელავი

202_

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელწიფო უნივერსიტეტის
აკადემიურ, მოწვეულ პროფესორისა და მასწავლებელთა პერსონალის წახალისების
წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური, მოწვეული პროფესორისა და მასწავლებელთა პერსონალის (შემდგომში - პერსონალი) წახალისების წესსა და პირობებს. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისიაა მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დაკომპლექტება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოამზადონ რეგიონის/ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე მომავალი პროფესიონალები სწავლებისა და სწავლის ინოვაციური მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. განსაკუთრებით COVID პანდემიურ სიტუაციაში, როდესაც დისტანციური სწავლება უნივერსიტეტისთვის უმთავრესი ხდება. მისიით დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთი მიზანია პროფესორ-მასწავლებლების თანამედროვე და ინოვაციური სწავლა-სწავლების უნარების განვითარება. პერსონალის წახალისება დაკავშირებულია პერსონალის

მიერ სასწავლო კურსების განხორციელებაში ინოვაციური სწავლისა და სწავლების მეთოდების გამოყენებასთან. წინამდებარე წესი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ფარგლებში ინოვაციური სწავლისა და სწავლების პოპულარიზაციასა და ამასთან მიმართებაში, პერსონალის მოტივაციის ზრდას.

მუხლი 2. პერსონალის წახალისების მიზნით კონკურსის ორგანიზება

1. პერსონალის წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი სასწავლო წლის განმავლობაში, არანაკლებ ერთხელ ატარებს კონკურსს. კონკურსის ჩატარების საკითხის ინიცირების უფლება აქვს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტი, სკოლა) ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს. კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, რომლითაც დგინდება საკონკურსო ვადები და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

2. კონკურსის შედეგების საფუძველზე, პერსონალის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში;

3. პერსონალის წახალისების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება გასული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით;

4. თითოეულ ფაკულტეტს შეუძლია პერსონალი შეარჩიოს ორ ნომინაციაში:

ა) ფაკულტეტის წლის საუკეთესო პროფესორი/მოწვეული პროფესორი/მასწავლებელი;

ბ) ფაკულტეტის წლის ინოვაციური პროფესორი/მოწვეული პროფესორი/მასწავლებელი;

5. პერსონალის შესახებ ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ფაკულტეტი/სკოლა, შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი და პერსონალი. არასწორი ინფორმაციის გამოვლენის შემთხვევაში, საკითხი შესაბამისი რეაგირებისათვის გადაეცემა ფაკულტეტის ეთიკის კომისიას.

მუხლი 3. საკონკურსო კომისია და კონკურსის პირობები

1. კონკურსის ორგანიზების მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია რექტორის ბრძანებით, რომლის შემადგენლობაში, შესაძლოა, შედიოდნენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, აკადემიური/მოწვეული პერსონალის/მასწავლებლის პერსონალისა და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები; საკონკურსო კომისია საქმიანობის ეფექტური

განხორციელებისთვის უფლებამოსილია, ჩართოს ექსპერტები ან/და სხვა პირები კომისიის მუშაობაში.

2. საკონკურსო კომისია განსაზღვრავს კანდიდატთა შეფასების სტანდარტებს.

3. კომისიას შეუძლია მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე (კანდიდატთა შერჩევის, გამარჯვებულთა გამოვლენის, კონკურსის ჩატარების-დაჯილდოების ცერემონიის შესახებ და სხვა) გადაწყვეტილება მიიღოს, თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც;

3. კონკურსში მონაწილეობისათვის პერსონალი ვალდებულია საკონკურსო კომისიას წარუდგინოს განცხადება და კონკურსის გამოცხადების თაობაზე გამოცემული რექტორის ბრძანებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია;

მუხლი 4. გამარჯვებულის გამოვლენა

1. საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით შერჩეული კანდიდატებიდან გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს საკონკურსო კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტ ხმას;

2. გამარჯვებული პერსონალი ჯილდოვდება სიმბოლური პრიზებით და გადაეცემა სიგელი.

3. გამარჯვებული აკადემიური პერსონალის დამსახურება შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას აკადემიური თანამდებობის დაკავების კონკურსის დროს.

4. გამარჯვებული აკადემიური პერსონალის წახალისება ასევე ხორციელდება მათთვის რეიტინგულ საერთაშორიო ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნებით